

**„ჯეოსელის“ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების იურიდიული პირი აბონენტების
საყურადღებოდ:**

სს „სილქნეტი“ გაცნობებთ, რომ 2018 წლის 1 ნოემბერს განხორციელდა შპს „ჯეოსელის“ (ს/კ 203841940) სს „სილქნეტზე“ (ს/კ 204566978) შერწყმის ფორმით რეორგანიზაცია, რა დროსაც შპს „ჯეოსელი“ (ს/კ 203841940) მიუერთდა სს „სილქნეტს“ (ს/კ 204566978) და მიერთების შედეგად შპს „ჯეოსელის“ (ს/კ 203841940) ყველა კრედიტორი/დებიტორი/კონტრაქტორი გახდა სს „სილქნეტის“ (ს/კ 204566978) კრედიტორი/დებიტორი/კონტრაქტორი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენსა და „ჯეოსელს“ შორის გაფორმებული სააბონენტო ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად გადავიდა სს „სილქნეტზე“, როგორც შპს „ჯეოსელის“ სამართალმემკვიდრეზე.

აქვე განგიმარტავთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ სარგებლობთ სს „სილქნეტის“ არსებული ფიქსირებული მომსახურებ(ებ)ით, თქვენს მიერ ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს სს „სილქნეტის“ იმ საბანკო ანგარიშზე, რომელზეც დღეის მდგომარეობით ახდენთ ანგარიშსწორებას, ხოლო „ჯეოსელის“ მიერ გაწეული მობილური საკომუნიკაციო მომსახურებიდან გამომდინარე საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: სს „თიბისი ბანკი“; ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE64TB060000077467777.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ჯეოსელის“ მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებ(ებ)იდან გამომდინარე ანგარიშსწორება არ განხორციელდება წინამდებარე წერილით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, თქვენს მიერ გადახდილი თანხები შესაძლებელია მოხვდეს ე.წ. „გაურკვეველ ჩარიცხვებში“, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თქვენთვის მოწოდებული მომსახურების შეზღუდვა.